



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ტელე-რადიო ჟურნალისტიკა
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური/ბაკალავრიატი
კვალიფიკაცია მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი BACHELOR OF ARTS IN MASS COMMUNICATION
პროგრამის მოცულობა ECTS	240 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ. სპეციალობის ძირითადი კურსები - 138 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი კურსები - 25 კრედიტი; საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები - 17 კრედიტი. დამატებითი –minor სპეციალობა/არჩევითი ბლოკები/კურსები-60 კრედიტი; 1 სემესტრი - 15 სასწავლო კვირა; 4 სასესიო კვირა.
სწავლების ენა	ქართული
სწავლის ღირებულება	1800 ლარი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პროგრამაზე დაშვება ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კონტინენტის მიხედვით. პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები.
პროგრამის მიზანი	<p>ტელე-რადიო ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ქვეყნის, რეგიონისა და ზოგადად საზოგადოების ინტერესების შესატყვისი მასობრივი კომუნიკაციის, მედიისა და კომუნიკაციათმცოდნეობის დარგის ფართო სპექტრის სპეციალისტის მომზადება. სტუდენტებში პროფესიული ინტერესის დამკვიდრება; მოამზადოს თანამედროვე პროფესიონალი პრაქტიკოს-ანალიტიკოსი ჟურნალისტი, რომელიც პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული დარგობრივი/პროფესიული, ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე.</p> <p>პროგრამის მიზანია კურსდამთავრებული ფლობდეს მასობრივი კომუნიკაციის, მედიის სფეროს (საინფორმაციო, ანალიტიკური და შემოქმედებითი ჟურნალისტიკა) - თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს. ჟურნალისტური ოსტატობის ხერხებს, თემის შერჩევას, ინფორმაციის მოძიების, გადამოწმების და დამუშავების მეთოდებს. შეემოს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემების/საკითხების იდენტიფიცირება, თემატური დამუშავება და გაშუქება; რესპოდენტებთან ურთიერთობა - ინტერვიუება, სხვადასხვა ფორმატის ინტერვიუს წარმართვა; საინფორმაციო ახალი ამბების, რეპორტაჟების, თემატური და ანალიტიკური სიუჟეტების მომზადება; საინფორმაციო გამოშვებებში და ანალიტიკურ, გასართობ-შემეცნებით, დარგობრივ სავტორო გადაცემებზე და ა.შ. მუშაობა რეპორტიორის და ტელე-რადიო წამყვანის პოზიციაზე; გამოუმუშავდეს ინფორმაციისადმი კრიტიკული მიდგომისა და განსჯის უნარი; საინფორმაციო/ანალიტიკური მასალების თემატური სტრუქტურის აგების უნარი, სიუჟეტის მომზადების პრაქტიკული უნარ-ჩვევები; ოპერატიულ რეჟიმში ჟურნალისტური მუშაობის, როგორც პრობლემიტაკაზე გრძელავადიანი მუშაობის დაგეგმვის, ჟურნალისტური გამოძიების წარმოების, ექსტრემალურ და კრიზისულ სიტუაციებში შესაბამისი მოქმედების, კომუნიკაციის და გუნდური</p>

	<p>მუშაობის სპეციფიკური უნარები. შეეძლოს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში. შეისწავლოს მასობრივი კომუნიკაციისა და კომუნიკაციის მართვის ძირითადი ასპექტები, ფლობდეს თანამედროვე მედიატერმინოლოგიას, მედიასამართლისა და ჟურნალისტური ეთიკის საფუძვლებს. პროფესიონალური და მოქალაქეობრივი შეგნებით მიუდგეს ინფორმაციის გადამოწმების, დაბალანსების და ობიექტური გაშუქების საკითხს. იცავდეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და მოქმედებდეს ამ ღირებულებებით.</p> <p>პროგრამის მიზანია სტუდენტმა მიიღოს კვალიფიციური ცოდნა მასობრივი კომუნიკაციის, მედიისა და კომუნიკაციის მართვის დარგის მიმართულებით. გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები ტელე-რადიო ჟურნალისტიკის პროფილით პროფესიული გაშუქებისა და ანალიზის მიზნით.</p>
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა).</p> <p>სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“). სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:</p> <p>დადებითი შეფასება:</p> <p>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სტუდენტი „ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:</p> <p>ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;</p> <p>ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.</p> <ul style="list-style-type: none"> ● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დანიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ● საკონსულტაციო საათები განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად.
<p>პროგრამის ხელმძღვანელები</p>	<p>მამუკა ჯორბენაძე - ტელე-რადიო ჟურნალისტი, ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დოქტორი, ბხსუ-ს სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი. ასოცირებული პროფესორი.</p> <p>ინგა ზოიძე - ჟურნალისტიკის I კატეგორიის სპეციალისტი.</p> <p>ირინა ყურუა - ტელე-რადიო ჟურნალისტი. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს საინფორმაციო სამსახურის რედაქტორი; წამყვანი.</p>

სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტები	კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით							
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
სპეციალობის ძირითადი კურსები			138	18	25	25	20	10	15	10	15
B9b1		ჟურნალისტიკის შესავალი	5	5							
B9b2	ucE-A1.1	პრაქტიკული სტილისტიკა	5		5						
B9b3	B9b2; B9b4-2	ანალიზისა და მოსაზრების წერა	5				5				
B9b4-1	B9b1	ახალი ამბების ჟურნალისტიკა 1	5		5						
B9b4-2	B9b4-1	ახალი ამბების ჟურნალისტიკა 2	6			6					
B9b5	B9b1	ინტერვიუს ტექნოლოგია	5			5					
B9b6-1	B9b4-2	ანალიტიკური ჟურნალისტიკა 1	5					5			
B9b6-2	B9b6-1; B9b5	ანალიტიკური ჟურნალისტიკა 2	5						5		
B9b7	B9b5	მხატვრული ჟურნალისტიკა	5						5		
B9b8	B9b6-2	საგამომიებო ჟურნალისტიკა	5							5	
B9b9		მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	4	4							
B9b10		ბეჭდური მედია	5		5						
B9b11		მედიაეთიკა	5				5				
B9b12	B9b11	მედიასამართლის საფუძვლები	5						5		
B9b13-1		ახალი მედია 1	5			5					
B9b13-2	B9b13-1	ახალი მედია 2	5				5				
B9b14-1		მეტყველების კულტურა 1	5	5							
B9b14-2	B9b14-1	მეტყველების კულტურა 2	5		5						
B9b14-3	B9b14-2	მეტყველების კულტურა 3	5			5					
B9b15		მედიამენეჯმენტი	5							5	
B9b16-1		ტელეოპერატორის ოსტატობა 1	4	4							
B9b16-2	B9b16-1	ტელეოპერატორის ოსტატობა 2	5		5						
B9b17-1	ucBA2	აუდიო-ვიდეო მონტაჟი 1	4			4					
B9b17-2	B9b17-1	აუდიო-ვიდეო მონტაჟი 2	5				5				

